საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №138
2019 წლის 14 მაისი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის განმკარგველი – 128 – „სსიპ – სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

128	0738	სსიპ – „ველური ბუნების ეროვნული სააგენტო“

ბ) ბიუჯეტის განმკარგველის – 1458 –„ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებას“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

1459	5099	ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“
1460	5100	ა(ა)იპ „ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტო“
1461	5101	ა(ა)იპ „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“

2. დანართ №3-ში 7335 – სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ ავანსად მიღებული მომსახურების საფასური“ – სახაზინო კოდის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის სახაზინო კოდი:

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ირაკლი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური სამედიცინო პრაქტიკული ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასური“	7336

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი**